

საქართველოს
დაპროზიხების დაზღვევის სააბენსო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2019 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში

იანვარი, 2020 წელი

სარჩევი

მიმოხილვა	3
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები.....	3
პორტფელის მართვა	6
გარე აუდიტი	7
მართვის საინფორმაციო სისტემა.....	7
განვითარების სტრატეგია 2020-2023	8
მიმდინარე საკითხები.....	9

მიმოხილვა

2019 წლის მეოთხე კვარტალში სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საქმიანობა მიმდინარე საკითხებთან ერთად რამდენიმე ძირითადი თემის გარშემო განვითარდა: გაგრძელდა ინტენსიური მუშაობა მართვის საინფორმაციო სისტემაზე, ჩატარდა გარე აუდიტი, შემუშავდა კანონით განსაზღვრული რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის სააგენტოს განვითარების სტრატეგია, 2020 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე, მომზადდა კრიზისის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციის პროექტები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, შედგა კომუნიკაცია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოსთან ზღვრის ახალი ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

გრძელდება კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2019 წლის ოქტომბრის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 27 102 642 710 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 14 813 446 008 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 887 325 406 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 498 886 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2019 წლის ნოემბრის შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 27 085 816 863 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი

მოცულობა 14 879 827 161 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 868 170 692 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 475 403 ლარით განისაზღვრა.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 27 243 191 066 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 15 070 121 202 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 2 017 232 274 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 596 328 ლარით განისაზღვრა.

2019 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 1.10%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2019 წლის მაისში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 3.93%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.58%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა 2019 წლის მაისის და დეკემბრის თვეში დაფიქსირდა და შესაბამისად 4.46% და 7.98% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	აპრ.19	მაი.19	ივნ.19	ივლ.19	აგვ.19	სექ.19	ოქტ.19	ნოვ.19	დეკ.19	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა თვიური ცვლილება, %	23,90	23,60	23,75	23,98	24,09	25,04	25,70	26,02	26,28	26,53	27,10	27,09	27,24	1,10
		-1,27	0,64	0,99	0,46	3,93	2,65	1,23	1,02	0,95	2,16	-0,06	0,58	
ფიზიკური პირების დეპოზიტები თვიური ცვლილება, %	12,50	12,22	12,43	12,50	12,75	13,32	13,66	14,16	14,25	14,44	14,81	14,88	15,07	1,58
		-2,21	1,66	0,57	2,01	4,46	2,54	3,68	0,67	1,29	2,61	0,45	1,28	
დაზღვეული დეპოზიტები თვიური ცვლილება, %	1,75	1,64	1,67	1,65	1,71	1,73	1,75	1,82	1,81	1,84	1,89	1,87	2,02	1,24
		-6,10	1,59	-1,15	3,43	1,29	1,03	4,09	-0,43	1,56	2,67	-1,01	7,98	

2019 წლის მესამე და მეოთხე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მეოთხე კვარტლის ბოლოს, წინა კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 2.69%-ით, ფიზიკური პირის დეპოზიტები - 4.39%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 9.74%-ით არის გაზრდილი (ცხრილი #2).

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	სექ.19	დეკ.19
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	26,53	27,24
კვარტალური ცვლილება, %	-	2,69
ფიზიკური პირის დეპოზიტები	14,44	15,07
კვარტალური ცვლილება, %	-	4,39
დაზღვეული დეპოზიტები	1,84	2,02
კვარტალური ცვლილება, %	-	9,74

რაც შეეხება წლიურ ზრდას, 2019 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 14%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 20.53%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 15.25%-ით გაიზარდა (ცხრილი #3).

ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.18	დეკ.19
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23,90	27,24
კვარტალური ცვლილება, %	-	14,0
ფიზიკური პირის დეპოზიტები	12,50	15,07
კვარტალური ცვლილება, %	-	20,53
დაზღვეული დეპოზიტები	1,75	2,02
კვარტალური ცვლილება, %	-	15,25

2019 წლის იანვარი-დეკემბრის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანების მაქსიმალური ზრდა (8.20%) მიმდინარე წლის მეოთხე კვარტლის ბოლოს დაფიქსირდა და დეკემბრის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 1 596 328 ლარი შეადგინა (ცხრილი #4).

ცხრილი 4. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	აპრ.19	მაი.19	ივნ.19	ივლ.19	აგვ.19	სექ.19	ოქტ.19	ნოვ.19	დეკ.19	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	1,39	1,31	1,33	1,32	1,37	1,37	1,38	1,44	1,44	1,46	1,50	1,48	1,60	
თვიური ცვლილება, %		-5,50	1,25	-0,78	3,46	0,11	1,14	4,01	0,47	1,38	2,36	-1,57	8,20	1,21

2019 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა მესამე კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს 5.16%-ით (ცხრილი #5), ხოლო წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს 14.05%-ით აღემატება (ცხრილი #6).

ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	სექ.19	დეკ.19
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	4,35	4,57
კვარტალური ცვლილება, %	-	5,16

ცხრილი 6. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	დეკ.18	დეკ.19
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	4,01	4,57
კვარტალური ცვლილება, %	-	14,05

2019 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 95% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 13,39%. დაზღვეული დეპოზიტების 64% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 36% - უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2019 წლის მეოთხე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 4 570 618 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2019 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე ოთხი განაცხადი გააკეთა, აქედან, სამი განაცხადი დაკმაყოფილდა.

2019 წლის 22 ოქტომბერს ჩატარებულ აუქციონზე 5 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 1 403 350,10 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 1 455 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 8,700%-ია.

2019 წლის 12 ნოემბერს სააგენტომ 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებში განახორციელა 596 566,46 ლარის ინვესტიცია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის სარგებელი 9,200%-ია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 605,000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა.

2019 წლის 10 დეკემბერს სააგენტომ 2 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომლის ნომინალური ღირებულება 1 020 000 ლარია, შემოსავლიანობის განაკვეთი 9,400%. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად 1 009 822,08 ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

გარე აუდიტი

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულია სააგენტოსთვის ყოველწლიური გარე აუდიტის ჩატარება.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ განახორციელა სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის და 2017 წლის დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო დასკვნის (ასს) შესაბამისად. დასკვნაში აღინიშნა, რომ სააგენტოს ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციას.

გარე აუდიტის დასკვნა საჯაროა და ის გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მართვის საინფორმაციო სისტემა

სააგენტოში გრძელდება მუშაობა მართვის საინფორმაციო სისტემაზე - სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაზე, რომლითაც მოხდება სისტემის ძირითადი პროცესების და სადაზღვევო შემთხვევის მართვა.

სისტემის შემუშავების პროცესში გამოიკვეთა ახალი საჭიროებები ფუნქციონალის დახვეწის მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის ჩაბარების ვადა გახანგრძლივდა 2020 წლის მაისამდე. ჩატარდა მნიშვნელოვანი ანალიტიკური სამუშაო - მომზადდა ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ყველა ამოცანის დეტალური აღწერა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს როგორც დეველოპმენტის პროცესს, ისე საბოლოო პროდუქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას.

ამ დროისთვის აქტიურად მიმდინარეობს პროგრამის დეველოპმენტი. 2020 წლის აპრილში სისტემას ჩაუტარდება სტრეს-ტესტი, რომლის დროსაც სისტემა გამოიცდება სადაზღვევო შემთხვევისთვის მართვასა და დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებაზე.

განვითარების სტრატეგია 2020-2023

სააგენტომ შეიმუშავა საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2023 წლებისთვის. სტრატეგიის შემუშავებაში სააგენტოს მხარდაჭერა აღმოუჩინა მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის ექსპერტმა.

სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს სააგენტოს ხედვას უახლოესი 3 წლისთვის. სააგენტოს განვითარების, მის მიერ დასახული მისიისა და ხედვების მისაღწევად, ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა შემდეგი 4 ძირითადი სტრატეგიული მიზანი: 1) არსებული ფუნქციების გაძლიერება; 2) ევროდირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაახლოება; 3) დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება; 4) სააგენტოს საერთაშორისო წარმომადგენლობის გაძლიერება.

დოკუმენტში ასევე, ჩამოყალიბებულია თითოეული მიზნის შესასრულებლად საჭირო ამოცანები და დროში გაწერილი აქტივობები.

აღნიშნული მიზნების განხორციელებით, სააგენტო, საკუთარი მანდატის ფარგლებში უზრუნველყოფს დაარსებიდან დღემდე შექმნილი სისტემის საფუძვლის გამყარებას, შემდგომ გაძლიერებას და განვითარებას.

მიმდინარე საკითხები

სააგენტომ შეასრულა საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულება და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, ასოცირების საბჭოს აცნობა სადაზღვევო ზღვრის ახალი ოდენობის განსაზღვრის თაობაზე და წარუდგინა ჩატარებული ანალიზი. ასოცირების საბჭომ დადებითად შეაფასა სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობა და ქართულ მხარეს აცნობა, რომ ახალ ზღვართან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილება აისახება ასოცირების ხელშეკრულების დანართში. ამასთან, საბჭომ რეკომენდაცია გასწია ევროდირექტივით გათვალისწინებული დროებითი მაღალი ანგარიშების ქართულ კანონმდებლობაში ასახვასთან დაკავშირებით.

სააგენტომ, მსოფლიო ბანკის ექსპერტთან თანამშრომლობით, შეიმუშავა კრიზისების მართვის დოკუმენტის პროექტი, რაც კანონით განსაზღვრულ ვალდებულებას წარმოადგენს. 2020 წლის პირველ კვარტალში დოკუმენტზე მუშაობა დასრულდება.

ასევე, დასრულებულია მუშაობა „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციის პროექტზე. აღნიშნული დოკუმენტის შექმნა ასევე, წარმოადგენს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნას. მასში აღწერილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პროცესი და პროცედურები, მათ შორის მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენებით. ინსტრუქცია, საბოლოო სახით, დამტკიცდება მართვის საინფორმაციო სისტემაზე მუშაობის დასრულების შემდეგ.

2019 წლის მეოთხე კვარტალში სააგენტომ შეიმუშავა ასევე, 2020 წლის სამოქმედო გეგმა და საინვესტიციო გეგმა.